№ 124

სამშაბათი, 15 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 124

სამშაბათი, 15 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—10)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—5)

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა საალებმიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“.

კრება უსათუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დასწრდეს.

კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე გამგეობისა, ვ. ალნიაშვილის ნაცვლად, რომელიც ამ თანამდებობას თავს ანებებს.

ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—6.—1)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## ახალი ამბავი

⁂ კვირას, 13 ივნისს, აკურთხეს ახლად გახსნილი ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორა (კანტორა და ბიბლიოთეკა), რომელიც იმყოფება სათავად-აზნაურო ქარვასლაში, № 122. კურთხევას, რომელიც დაიწყო 11½ საათზედ, დაესწრნენ წარმომადგენლები ქართულ რედაქციებისა, მწერლობისა, „ქართველთა შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოებისა“, სათავად-აზნაურო კომისიისა, დრამატურგი ბ-ნი გ. ნ. სუნდუკიანცი და დიდი საზოგადოება. ყველანი სიამოვნებით მიეგებნენ კანტორის გახსნას და აღუთქვეს შეძლებისამებრ დახმარება.

⁂ 1893 წ. ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებაზედ ლაპარაკი აღიძრა საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსების შესახებ. კრებამ გადასწყვიტა ასეთ საწყობის დაარსება და აირჩია კომისია საწყობის წესდების შესამუშავებლად; მაგრამ მას შემდეგ ამ საგნის შესახებ აღარაფერი ისმის. ასეთი საწყობის დაარსება დიდად საჭირო და სასარგებლოა ეკკლესიებისა და სასულიერო სასწავლებლებისათვის და ჩვენ ძალიან გვიკვირს, რად ჩაიჩუმეს ეს საქმე!

⁂ ამას წინად ბ-ნმა ივ. როსტომაშვილმა საგუბერნიო მთავრობას სთხოვა, ნება მომეცით დავაარსო ტფილისში კურსები მევენახეობისა, ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და სხვა სამეურნეო დარგთა შესახებაო. ამ ჟამად, როგორც ისმის, ბ-ნ როსტომაშვილის შუამდგომლობა მთავრობას მოუწონებია.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით, ამ ჟამად გუბერნიის ყველა მაზრაში არსდება კომისიები, რომელთაც მინდობილი ექმნებათ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებაზედ 2%-ის გადასახადის გაწერა.

⁂ მკითხველებს ცხსომებათ, რომ მანთაშევის ნავთის წარმოება ბაქოში გადადის სააქციონერო საზოგადოების ხელში, რომელიც პეტერბურგში დაარსდა. 13 ივნისს დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ამ საზოგადოების წესდება დამტკიცებულია. საზოგადოების თანხა უდრის 23 მილიონს, აქციების ორ მესამედ ნაწილს მანთაშევი იტოვებს, ხოლო ერთი მესამედი განაწილდება საზოგადოების დანარჩენ დამფუძნებელთა შორის.

⁂ ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ რამდენსამე კაცისაგან განცხადება მიიღო იმის შესახებ, რომ მათ დაეთმოთ სახაზინო მიწები შორაპნის მაზრაში რკინის მადნებში შესამუშავებლად.

⁂ წელს ტფილისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 31 ქალმა; მათ შორის სამი ქართველია:, ელ. ვაჩნაძე, ანნა ყიფიანი და თამარა მაყაშვილი.

⁂ წელს ტფილისის I სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა—24 მოწაფემ, მათ შორის თორმეტი ქართველია: გ. ნუკრაძე, ე. ლობჯანიძე, ზ. მაჭავარიანი, ზ. ჯილაური, ნ. ჯილაური, დ. ჯანიაშვილი, ლ. ხიმშიაშვილი, გ. კავლაშვილი, გ. ყანჩაველი, პ. პაატოვი, ა. დათიაშვილი.

⁂ წელს ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა და მოწმობა მიიღო 44 მოსწავლემ, რომელთ შორის 22 ქართველია: ა. აბდუშელიშვილი (ოქროს მედ.), ვ. ბაქრაძე, ბ. ვარლამოვი, მარ. ღლონტი, ნინო გამრეკელი, ზ. ღოღობერიძე (ოქროს მედ.), თამარ ბარამიძე, ელენე ქიქოძე, ელენე ტატიშვილი, ნატალია ქავთარაძე, ნინო თოფურიძე, მართა კობახიძე, ელენე ხარაზოვი, ასინეთი იოსელიანი, ვერა კორძაია, ოლღა სანიკიძე, ქეთევან ფურცელაძე, ანნა თევდორაძე, ეკატერინე დადიანი, ელენე სვიმონოვი, ნინო სურგულაძე და ელისაბედ კლდიაშვილი. დანარჩენი 3 სომეხია, 2 პოლონელი 16 რუსი და 1 ებრაელი.

⁂ ხუთშაბათს, 17 ივნისს, დანიშნულია ტფილისის საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე მხოლოდ ბელგიის უსახელო საზოგადოების რკინის გზისა კავკასიის მთავარ-მართებლის უკანასკნელ წინადადების თანახმად.

⁂ ხმოსანმა გ. ზ. იარალოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს, განმათავისუფლეთ ხმოსნობის თანამდებობიდგანაო.

⁂ ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის საპატიო მზრუნველმა ბაქოელმა ვაჭარმა შამსი ასადულაევმა 2,000 მან. შესწირა ინსტიტუტს.

⁂ 12 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა დაუბრუნა გორის ქალაქის მამასახლისს ქ. გორის იმ სახლის პატრონთა საარჩევნო სია, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის რწმუნებულთა არჩევნებში 1899—1903 წ., და უბრძანა, დაუყოვნებლივ გაასწორეთ ეს სია საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილების თანახმად და ისე წარმომიდგინეთო.

⁂ მივაქცევთ ქველ-მოქმედთა ყურადღებას ორის სულით ავადმყოფის უკიდურესს მდგომარეობას. ეს ავადმყოფნი არიან ქუჩის დარაჯად ნამყოფი სელენაშვილი და მისი ცოლი. ისინი შეჰკედლებიან პოლიციის მე III ნაწილის დარაჯს, რომელიც მათ ღამეს ათევინებს თავისს სადარაჯო ოთახში. იმათი მდგომარეობა საშინელებაა თურმე: რაც ფული ჰქონდათ, სულ შემოჰხარჯვიათ და ახლა მთელი დღეები მშიერნი არიან. ვისაც ჰსურს დახმარება აღმოუჩინოს ამ უბედურთ, შეუძლიანთ მიჰმართონ პოლიციის მესამე ნაწილს.

⁂ სიღნაღის ქალაქის რწმუნებულთა კრებამ დაადგინა: ქ. სიღნაღის უძრავ ქონების საერო ხარჯის გამწერ კომისიის ეხლანდელ წევრთ ა. ს. შავერდოვს, ნ. ზ. ნადირაშვილსა და ს. ს. ტერ-მათეუზოვს ვსთხოვოთ დარჩნენ ამ კომისიის წევრებად 1899 წლისათვისაც 1,200 მანეთის გასაწერად.

⁂ გორის მაზრის ს. ალსა, ქინძთსა, მცხეთის ჯვარსა, ბროლოსანსა, საკირე-ღელესა, ჩარჩანსა, საციხურსა, აბანოსა და წალვში 8 ივნისს სეტყვას გაუფუჭებია მრავალი ვენახი, ბოსტნები და ყანები, ასე რომ არავითარი იმედი აღარ აქვთ მოსავლისა.

⁂ შორაპნის მაზრის თავად-აზნაურებმა და მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის ტარიფი და შემოღებულ იქმნას საზოგადო ტარიფი ყველა საქონლისათვის შავი ქვის გარდაო. ეს შუამდგომლობა იმას გამოუწვევია, რომ დღევანდელი გარდასახადი ყველა იმ შემოტანილ საქონლისათვის, რომელიც შორაპნიდგან ჭიათურისაკენ მიდის, საზოგადოა, ხოლო ჭიათურიდგან გასატან საქონლისათვის-კი დაწესებულია შავის ქვის ტარიფი (7 კაპ. ფუთზედ). ასეთის დიდის გარდასახადის ატანა არ შეუძლიან არც ერთს სამეურნეო ნაწარმოებს, და მცხოვრებლები ამის გამო უარესს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე წინად იმყოფებოდნენ, რადგან ჭიათურის რკინის გზის გაყვანის შემდეგ გაუჭირდა ერთად ერთი გზატკეცილი. ეს ტარიფი გზასაც უკარგავს შემოსავალს სიმინდისა, ღვინისა და ხე-ტყის გაზიდვისას. გუბერნატორი თანაგრძნობით მიეგება ამ შუამდგომლობას და განაცხადა, რომ იმედია, შეწყნარებულ იქმნებაო.

⁂ ზოგიერთმა გაზეთმა ხმა გაავრცელა, რომ თავ. ჩიჩუა, რომელსაც ქუთაისში შეტაკება მოუვიდა მგელაძესთან, უკვე გარდაიცვლაო. ახლა „კავკას“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ ეს ამბავი ტყუილია და თავ. ჩიჩუა კი არ მოუკლავთ, არამედ მხოლოდ დაუჭრიათ. გარდა ამისა, ისიც ტყუილი ყოფილა, ვითომც ჩიჩუა-მგელაძის შეტაკება ბანკის დასების ბრძოლის ნაყოფი ყოფილიყოს; მათ ჩხუბი მოსვლიათ ერთმანეთთან ძველის კერძო ანგარიშების გამო.

⁂ „ჩერნ. ვესტ.“-ის სიტყვით, ამ ჟამად მზადდება ქ. ბათუმში ასაშენებელ საქალაქო თეატრის აშენების პროექტი, რომელიც ამ მოკლე ხანში წარედგინება დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობას. მომავალ თეატრში, სათეატრო წარმოდგენების გარდა, განზრახვა აქვთ გამართონ დრო-გამოშვებით სახალხო კითხვები და სახალხო წარმოდგენები რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენებზედ.

⁂ „კავკ.“-ს შეუტყვია, რომ მთავრობას ნება დაურთავს სამსახურს გარეშე მყოფის პორუჩიკის კონსტ. ბეგიჩევისთვის გამოსცეს ტფილისში ჟურნალი სახელწოდებით „Кавказскій книжный Вѣстникъ“.

⁂ ქ. გორი. წელს გორის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 16-მა კაცმა, სახელდობრ: ვანო ხმალაძემ, ნ. ყორანაშვილმა, მ. გძელიშვილმა, ს. მაისურაძემ, სვ. ალექსიძემ, ი. მელიქიშვილმა, ს. გამდლიშვილმა, ესტ. შანავაძემ, ვას. ბესტავაშვილმა, ვალ. მიტროფანოვმა, ვ. კალაშნიკოვმა (რუს-ქართველია), ვ. ალჩულიმ, გ. იზმაილოვმა, დ. ამირაღოვმა, ივ. სირიბეგოვმა და გ. წვენიაშვილმა. ამათში ცხრა ქართველია, სამი რუსი, ერთი რუს-ქართველი და სამიც სომეხი. ვანო ხმალაძემ მიიღო ჯილდო და ქების ფურცელი.

⁂ ს. ალი, (გორის მაზრა). 9 ივნისს, ნაშუადღევს, მოწმენდილ-მოკაშკაშებულს ცაზედ უცებ გაჩნდა პატარა თეთრი ღრუბელი; ცოტა ხნის შემდეგ წამოუშინა მშრალი, მსხვილი სეტყვა და რაც კი დედამიწაზედ დახვდა, სულ ერთიანად გაანადგურა, მილეწ-მოლეწა ხის ტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები, ვაზები სულ დაამტვრია, სიმინდები ძირიან-ფესვიანად დათხარა, პურები და ქერები დედამიწაში ჩაფლა; ქოთან ჯამები მოსამხრე მუშებისა სულ ლუკმა-ლუკმად აქცია. სეტყვას ზედ მოჰყვა კოკის პირული წვიმა, მოვარდა საშინელი ნიაღვარი, რომელმაც სულ ერთიანად მოლეკა და მოაცალიერა მინდვრები, მოგლიჯა საფლავის ქვები და ერთი ერთმანეთს დააჯახა, „ამიანგრ-მოანგრია შეზღუდული დგილები და სხვ. ათის წუთის შემდეგ ისევე დამშვიდდა ჰაერი და ცამ მოიწმინდა. ზარალი ძლიერ დიდია. საკვირველი ის არის, რომ ეს უბედურება ნახევარ სოფელს დაატყდა თავზე და მისი სარჩო-საბადებელი მიწასთან გაასწორა, სოფლის მეორე ნახევარი მზისგან იწოდა და ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა იქ.

*** სად. ხაშური. შაბათს, 12 თიბათვეს, სათის ოთხი იქნებოდა, როდესაც აქ სახელმწიფო სახლებს ახლოს, რამდენიმე ყმაწვილი ცელქობდა—აგორებდნენ აქ დაწყობილს რგვალ-რგვალ ხეებს. იმ ალაგას, სადაც ეს ხეები ეწყო, ცოტა თავდაღმართია: ყმაწვილებმა გადმოაგორეს ერთი ხე და მოაგორეს თავდაღმართის ნაპირამდის, ხეს დაუწყეს ჩერება, რომ არ გადაგორებულიყო ძირს, მაგრამ ბავშვებმა ვეღარ მოახერხეს ეს და ხე წამოვიდა სისწრაფით, თან გადმოიყოლია ერთი ყმაწვილი, გადაუარა მთელს სხეულზედ, თავი თითქმის მთლად გაუჭყლიტა, ხელებიც მოამტვრია და საბრალო ბავშვმა ათი წუთის განმავლობაში განუტევა სული.

*** ფარმაციის მაგისტრმა ოტენმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საკაიანცის საკანდიტეროდგან წაღებულ ცივ-ტკბილის (მაროჟნის) განხილვა, შეატყობინა საგუბერნიო მთავრობას, რომ იმ ცივ-ტკბილაში, რომლითაც გასულ კვირაში 20-ზედ მეტი კაცი მოიწამლა, ყოფილა დარიშხანა (თაგვის წამალი), რომელიც უკვე მომზადებულ ცივ-ტკბილაში ჩაეყარათ. აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ჩაუდენია საკანდიტეროს ოსტატს, რათა შური ეძია თავისის პატრონისათვის. უკვე შეუპყრიათ დამნაშავე.

*** 13 ივნისს, დიდუბეში მებაღე ვლადიმირ ჯიშკარიანი ტბაში დაირჩო ბანაობის დროს. გვამი გამოიტანეს ტბიდგან და მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

6 ივნისი

ამ დღეს უნდა ამოერჩიათ ბანკის თავმჯდომარე. ოპოზიცია თამამად არის, იმედი აქვს გამარჯვებისა, გამგეობის მომხრენი მოწყენილნი არიან. ორივე მხარე ერთმანეთს ეკამათებიან, ებაასებიან და ზოგჯერ კიდეც ემუქრებიან. გამგეობის მომხრენი სცდილობენ წინა რიგის სკამები დაიჭირონ. ოპოზიცია ახლილს ყუთში აპირობს კენჭის ჩაგდებას, მოწინააღმდეგენი ემუქრებიან, რომ ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთო, ყუთი უეჭველად დახურული უნდა იყოსო. ვიღაცამ სთქვა, რომ დაკეტილის ყუთების მოტანას აპირობენო. ოპოზიციის ახალგაზდა მომხრენი ამბობენ, რომ გამგეობა ამას ვერ გაბედავსო. „ჩვენ გვინდა საკუთარის თვალით დავინახოთ, ვინ აძლევს ეხლანდელ გამგეობას თეთრ კენჭს, რომ მომავალში საზოგადოების და მთავრობის წინაშე ზნეობით პასუხისმგებელი ის იყოს და არა ჩვენ, ამ შემთხვევაში სხვა მიზანი ჩვენ არა გვაქვს რაო", ამბობენ ოპოზიციის წევრნი; „კანონი მოითხოვს, რომ დახურული კენჭის ყრა იყოს უსათუოდ, ჩვენ კანონის მოთხოვნილებას ვიცავთ", იძახოდნენ გამგეობის მომხრენი.

დილის ათს საათზედ კრება დაიწყო.

გამგეობის მოხსენების თანახმად კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრის წინაშე: 1, გამოცემა $4^1/_2\%$ გირავნობის ფურცლებისა, 2, გაცემა გრძელ-ვადიანის სესხისა იმ მამულებზედ, რომელნიც მდებარეობენ დაბა: ხონსა, სამტრედიასა, ზესტაფონსა, საჩხერესა, ონსა, ახალ-სენაკსა, ზუგდიდსა, ქობულეთსა, ჩოხატაურსა, ლანჩხუთსა, სუფსასა, ცაგერსა, ლაილაშსა, ჩხარსა, აბასთუმანსა, კოჯორსა, სურამსა, ხაშურსა და ბორჯომში. 3) გაცემა სესხისა ქ. ბათუმში სასულიერო წოდების მამულებზედ. 4) ბანკის მოქმედების გავრცელება მთელს ამიერ-კავკასიაში.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დაასახელა შემდეგი განსახილველი საგანი: შეცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთ §§-სა. კრებამ მცირედის ბაასის შემდეგ დაადგინა, გამოიცვალოს § 49 იმ ნაირად, რომ ბანკს მიეცეს უფლება, განუსაზღვრელი რიცხვი გირავნობის ფურცლებისა გამოსცეს; შეტანილ იქმნეს წესდებაში ტფილისის ბანკის 19—15 §-ის დამატებით.

თ. ნ. ყ. თავდგირიძე. კრებამ იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე, მოგვეცეს უფლება, რომ ზედამხედველის კომიტეტის და გამგეობის წევრებად ამოვირჩიოთ ხოლმე არა მარტო წარმომადგენელთაგან, არამედ დამფუძნებელ და მსესხებელთაგანაც. კრებამ ეს წინადადება პატივდებაში მიიღო.

შემდეგ გამგეობამ წარმოადგინა ზოგიერთი ცვლილება დამფასებელ კომისიის ინსტრუქციისა, რომელიც კრებამ შეიწყნარა.

ამით გათავდა განსახილველ საგნებზე ბაასი. ჯერი მიდგა კენჭზე. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გულის ფანცქალით მოელოდდა ყუთების დადგმას.

ქ. ს. თაყაიშვილი. გათავდა ბანკის საქმეებზედ ბაასი და ლაპარაკი. ყველაფერი მოვისმინეთ: გამტყუნებაცა და გამართლებაც. პირუთვნელის ადამიანის მოვალეობა ასე მესმის, რომ რაც ნაკლულევანება ნახა, იგიც აღნიშნოს და ღირსებაც არ დაივიწყოს. ყველა ხმები, რომელნიც მესმოდა გამგეობაზედ, არ გამართლდა; ბანკი მართალია ცუდს მდგომარეობაშია, მაგრამ სულ მთლად დაღუპულიაო რომ ვთქვათ, მართალი არ იქნება; თუ შემდეგ მისმა მოთავეებმა მეტი მხნეობა, მეტი შრომა და საქმის სიყვარული და საზოგადოების ერთგულება გამოიჩინეს, ბანკი გამოკეთდება. გამგეობის ზოგიერთი მოსაზრება შესაწყნარებელი იყო, ბევრი ყოვლად შეუწყნარებელი. ბევრი ისეთი ბრალი დასდეს გამგეობას, რომელიც ვერას გზით გამგეობამ ვერ აიცილა თავიდგან. მე არ ვიტყვი, რომ გამგეობას არა ჰქონდეს არავითარი ღირსება, მაგრამ ეს ღირსებანი ძალიან მცირე და უმნიშვნელოა იმ მრავალ ნაკლულევანებასთან შედარებით, რომელიც ჩვენ აქ დიდის გულმტკივნეულობით მოვისმინეთ. მაგალითად, ბანკის გამგეობამ სრულიად ვერ დააკმაყოფილა ჩვენი სურვილი, თუ რა მიზეზები იყო, რომლის გამოც ბანკმა კონვერსია ვერ მოახდინა. ეს საიდუმლოდ დარჩა ჩემთვისაც; ვერ გავიგეთ ისიც, თუ რატომაა დარჩენილი მამულები, რომელთაც ზედამხედველ კომიტეტის აზრით, დიდი ზარალი მოაქვთ ბანკისათვის, ასეთს უბედურსა და გავერანებულს მდგომარეობაში? თვითონ გამგეობა ამბობს, რომ ეს დარჩენილი მამულები საზარელი იარაა ჩვენის ბანკისათვისაო და ამ იარას გამგეობა თუ არა ზრდის, მორჩენით მაინც არ არჩენს. არ შემიძლიან ყურადღება არ მივაქციო იმ არევ-დარევას და ერთმანეთის გაუგებრობას და გაუგონობას, რომელიც დამკვიდრებულა ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობის შორის; აქ, ქართულის ანდაზისა არ იყოს: „ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო". სწორედ ის ყოფილა. ზედამხედველი კომიტეტი განაჩენს განაჩენზე ადგენს, დარიგებას დარიგებაზედ გზავნის, გამგეობა კი ყურადღებასაც არ აქცევს და თავს მართლულობს ჩვენს წინაშე იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად დაქვეითებულიაო და სესხის შემოტანა უჭირსო. სწორე უნდა მოგახსენოთ, გამგეობის მოქმედებაში მე ვერ მივხვდი, სად თავდება მიზეზი ეკონომიურის დაქვეითებისა და სად იწყება თვით-ნებობა გამგეობისა. გამგეობის თავმჯდომარემ ჩვენი ბანკი რამდენჯერმე ჯაგლაგ ცხენს შეადარა და სთქვა, რომ ბევრი ვეცადე, მაგრამ დიდი მანძილი ვერ გავატარეო. ბ-ნო, მართალია, ჯაგლაგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, მაგრამ თუ მოვლა-პატრონობა და რიგიანი საზრდოობა ექმნა, საშუალო მანძილს მაინც გაივლის. ჩვენს ბანკს-კი საშუალო მანძილი-კი არ გაუვლია, კიბოსავით უკან უვლია. ეს არაფერია. ბანკის მმართველი გვეუბნება, რომ წესდების და კანონის ბრძანებას გვერდს ვუვლიდი, ახლაც ვუვლი და შემდეგშიაც ვუვლიო, რადგან ამას თხოულობს ჩვენის მსესხებლების მდგომარეობაო, მაგრამ ამ განცხადებამ მე ბურუსში გამხვია და ვერ გამიგია, რა მდგომარეობაა ეს მდგომარეობა, რომელიც ითხოვს ამისთანა ზომებს? პირიქით ამ კრებებმა დამარწმუნეს, რომ ეს ზომები გამოუსადეგარი და საზარალო მსესხებლებისთვისაც და ბანკისათვისაც. ბოლოს არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ ბანკი და მისი მოქმედება რთული და ძნელი საქმეა, რომელიც ითხოვს მოთავეთაგან მუდმივს და დაუღალავს შრომას და მეცადინეობას, რაიცა არა სჩანს ჩვენს ბანკში: თვითონ მმართველი ბანკისა გვეუბნება, რომ ერთი დღის განმავლობაში იმას შეუძლიან საქმე გააკეთოს ბანკშიაც, სასამართლოშიაც, ნოტარიუსთანაც და სხვა დაწესებულებაშიაც, და ამით ბანკს არავითარი ზარალი არ მიეცემაო. არა, ბატონებო, ამისთანა შრომა სამწუხარო მომავლისაკენ წაგვიყვანს, რაიცა ახლაც ცხადად სჩანს. მართალია, ის ჯამაგირი, რომელიც ეძლევა ბანკის თავმჯდომარეს, დიდი არ არის, მეტადრე ცოლშვილიანის კაცისათვის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს, დაანებოს ამ საზოგადო საქმეს თავი და არ აჰყვეს პირად თავმოყვარეობას და ამას არ ანაცვალოს საზოგადოების ინტერესი და თავმოყვარეობა, პირადულ თავმოყვარეობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში. ჩვენ უნდა ხელვმძღვანელობდეთ საზოგადოების სიყვარულით და მისის სარგებლობისათვის სამსახურით. ძველი გამგეობა დარჩება ბანკის მოთავედ, თუ ახალი იქნება, ჩვენი თხოვნა და ვედრება ის არის, რომ ამ გამგეობამ მეტი შრომის მოყვარეობა, მეტი უანგარო სიყვარული და ერთგულება საქმისა გამოიჩინოს. (მოწონების ნიშნებია).

გ. ნ. ჩიკვაიძე. ბ-ნ თაყაიშვილმა ბრალმდებლის როლი აიღო და გამამტყუნებელი ოქმი წამიკითხა, მაგრამ ის დაავიწყდა, რომ, ვიდრე ოქმს წაიკითხავდა, საბუთებით უნდა შეიარაღებულიყო. საბუთები-კი ხელთ არა აქვს. მართლაც, რა იყო ჩვენი ბანკი, როცა მე გადმომცეს და რას წარმოადგენს ეხლა. მაშინ იგი იყო მცირედის კრედიტის და მცირედის უფლების პატრონი: ეხლა ფრთა შეისხა, გაფართოვდა მისი მოქმედება და საუცხოვო სურათს წარმოადგენს. არა, ბატონებო, მე რომ არა ვყოფილიყავ, ბანკი აქამდის დაიღუპებოდა და ამ მდგომარეობამდის ვერ მიახწევდა. ვინ იცის და ვინ მოსთვლის რამდენი დაბრკოლება შემახვედრა საზოგადოებამ, რამდენი უსიამოვნება და ტანჯვა არ მაჩვენა მან სამსახურის დროს! თანაგრძნობის და დახმარების მაგივრად ყოველ საშუალებას მიმართეს, რომ ადგილიდგან გადავეგდე, მაგრამ მიუხედავად ამის, ბანკი იმ მდგომარეობაში დავაყენე, რომ მომავალში ბევრს კარგს გვიქადდის. ნუ მიჰმართავენ ჩემი მოწინააღმდეგენი იმ ზომებს, რომ საზოგადოებათა ვნებანი აღელვონ, თორემ გამეორდება ის უსიამოვნება, რომელიც წინანდელ კრებაზედ მოხდა.

თავმჯდომარემ ათის წამით კრება შესწყვიტა და გამოაცხადა, რომ კენჭის ყრას შეუდგებითო. განაახლა თუ არა კრება, თავმჯდომარემ უბრძანა მოეტანათ წინა დღეს მომზადებული ყუთები, რომელიც კლუბის მეორე ოთახში ეწყო. მაგრამ ეს დამზადებული ყუთები ვერ ჰნახეს, სადღაც გამქრალიყო. თავმჯდომარემ კლუბის მოსამსახურეს გამოჰკითხა დაკარგულის ყუთების ამბავი; მოსამსახურემ მოახსენა, რომ ყუთები ბანკში მოსამსახურე კაცმა ელიზბარ ქაჯაიამ კ. ნ. ჩიკვაიძის ბრძანებით წაიღო აქედგან და სადღაც დამალაო. თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ არჩევანს ვერ დავიწყებ, სანამ დამალული ყუთები არ მოინახებაო. ამ უცნაურმა ამბავმა ძალიან აღელვა საზოგადოება და დაიწყეს ყვირილი: სირცხვილი არ არის ამისთანა საქციელი, ეს ხომ ქურდობაა, ეს ხომ ჩვენი გალანძღვაა!!

საშინელი ხმაურობაა დარბაზში.

„რატომ არჩევანს, არჩევანს არ იწყებთ?" ჰკითხა თავმჯდომარეს ზედამხედველის კომიტეტის წევრმა რ. ბ. ჯორჯიკიამ და მიუთითა ახლად მოტანილს ყუთებზედ. თავმჯდომარემ გასინჯა ეს ახალი ყუთები და უპასუხა: „ყუთები დაკეტილია, შიგნით როგორი მოწყობილება აქვთ, არ ვიცი, მაგ ყუთებს ვერ დავდგამ, რადგან მაგისთანა ყუთები არაოდეს არ გვიხმარია"!

ს. ზ. ზ. ჯორჯიკია, რომელიც მთელი კვირა პირ-დამუწულ პატარძალსავით იჯდა და ხმა არ ამოუღია, გაიმართა წელში, მარჯვენა მუშტით სტოლზედ დააბრახუნა და მარცხენა ხელი ჰკრა ყუთს და თავმჯდომარისკენ გააგორა: „რითაა ეს ყუთები გლახა?" შეჰყვირა მან ხმა მაღლა.

ამ ამბავმა საშინლად აღელვა საზოგადოება და ერთის წამის განმავლობაში ამ ორივე მხრიდგან მრავალი კაცი შევარდა სცენაზედ, სადაც თავმჯდომარე, ზედ. კომიტეტი და გამგეობა იყო. აირია ყველაფერი: ყვირილი, მუქარა, ერთმანეთთან კამათი სწორედ ჯოჯოხეთს მოგაგონებდათ. თავმჯდომარემ ძლივს ძლივობით დაამშვიდა აღელვებული საზოგადოება და კრება შემდეგის დღისათვის გადაიდვა. კალისტრატეს მომხრეებსაც ეს უნდოდათ.

## წერილი კახეთიდგან

ჩვენში არც შავი ჭირი მძვინვარებს და არც ხოლერა, მაგრამ ორივეს მაგივრობას ეს წყეული სეტყვა ეწევა: ისე კვირა არ გავა, რომ ორჯელ არ ეწვიოს სეტყვა ხან ერთს და ხან მეორე კუთხეს კახეთისას. ყვარელს დასეტყვაც არ აკმარა, დაგუბებულმა დურუჯმა გადმოხეთქა და მთელი უბანი ყვარელისა მოგლიჯა: სახლი, ბეღელი, საძნე, საბძელი, მარანი—რაც წაიღებოდა, წაიღო, რაც არა, დააქცია, დაანგრია, წანაშა. ამასაც არ დააჯერა, ექვსი სული იმსხვერპლა და მით შეამცირა ულუკმო-პუროდ დარჩენილთა რიცხვი. იმას მოჰყვა ფშაველის, ლალისყურის, მაღრაანის, ართანის და ნაფარეულის დასეტყვა. აქ ვენახების გარდა, პურისა და ქერის კარზედ მომდგარი მოსავალიც სრულიად მოიხარიკლა, ალაზან გამოღმა სოფლებშიაც ბევრი არ არის გადარჩენილი, ზოგს მეორედ დაუბრუნდა, აცა პირველის შემდეგ ხომ არა დარჩა-რაო. 7-ს თიბათვეს ქისტაური, ხორხელი, კოლოთი, ჯანაანი, ოჟიოს და რუის-პირის ბოლოები მიწასთან გაასწორა. სეტყვა და ნიაღვრობაც არ გვაკმარა წლევანდელმა წელიწადმა. ორჯელ ისეთმა ძლიერმა ქარმა გადაიარა კახეთზედ, რომ მთელი ვენახები ძირს დასცა. ამისთანა მდგომარეობაში ყოფნა, რასაკვირველია, შავ ჭირზედ და ხოლერაზედ ნაკლებ არ აშინებს ჭირისუფალთა რიცხვსა. დღეს ერთი ტიოს ხაჭირხახულევ ვენახს და ყანას ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ამ ნაირად კახელი ლხინის მაგიერ მწუხარებას მისცემია. გადარჩენილთ აღარ იციან, როგორ მოიქცნენ: „არ ვიცი, ღმერთმანი, უწამლო ი ოხერ ვენახსა, თუ არ უწამლო! უწამლო, ვაი თუ, სეტყვამ გაანადგუროს, არ უწამლო და ვაი თუ გადარჩეს, მერე ვინახო," გაიძახიან აქეთ-იქით.

ყველაზედ ძალიან საფიქრებელია პურის მოსავალის ძალუმად შემცირება. ზემო კახეთს ისედაც საკმარისი პური არ მოსდის, რის გამოც აქ ხშირად ისყიდება 1 მ. 20 კ. და 1 მ. 35 კ. ფუთი ფქვილი. არ ვიცი, დიდძალი ყანების დასეტყვა სადამდის ასწევს პურის ფასს მომავალ გაზაფხულზედ. ამ მხრივ, ვისიც რი-

გია, ჰმართებს ჩაფიქრება და ზრუნვა.

მართალია, ყვარელში წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის ქ-ნ ვიტორიჩის და ბ-ნ მაჟნიკოვის თაოსნობით გამართულმა ბუნდოვან სურათებმა 59 მანეთი შეჰკრიბა; მართალია ამავე დაზარალებულთათვის კნ. ქობულიშვილის თაოსნობით წარმოდგენა იმართება და მოკლე ხანში, ამბობენ, ქ ნ განსევიჩის თაოსნობითაც გაიმართებაო, მაგრამ ყველა ეს, თუმცა დიდად სამადლობელი და ფრიად საქები საშუალებანია, არ იკმარებს, თუ უფრო კარგად ჩავაკვირდებით საქმეს, თუ საქმეში ჩახედებით შევკრებთ ცნობებს თუნდა მარტო პურის მოსავლის შესახებ. ეხლავე თუ არ შეიკრიბა ნამდვილი ცნობები, პურის მოსავლის ზარალის მაინც, მერე დაგვიანებული იქნება და ჯეროვან დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი.

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა ხაშური.** 23 მაისს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა მცხეთის ტაძრის ფონდის სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა, რომელშიაც თითქმის უსასყიდლოდ დაგვეხმარენ ტფილისის სცენის მოყვარენი. წარმოდგენილ იქმნა „ძუნწი“ თ. გ. ერისთავისა და „ხორველობა“ ვალ. გუნიასი.

წარმოდგენამ მწყობრად და უნაკლულოდ ჩაიარა; საზოგადოება ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. დახმარებისათვის დიდის მადლობის ღირსნი არიან ტფილისელი სცენის მოყვარენი: ქ-ნნი რჩეულოვისა და ვაშაკიძისა და ბ. გელიკურაშვილი და ჯაფარიძე.

რადგანაც თითონ ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, მძიმე სამსახურისა გამო, დრო არა ჰქონდათ, ამ წარმოდგენის გამგეობა დააკისრებინეს ბ-ნ ი. კვალიევს, ამ კაცს თურმე ძალიან სცოტავებია ის 120 ბილეთი, რომელიც სცენის მოყვარეთა კრებამ ანგარიშით ჩააბარა. დიაღ, არ უკმარებია ეს ბილეთები და თითონ დაუბეჭდინებია სადღაც თავისი შინაური ბილეთები და ისიც დაუყიდნია. მაშასადამე, სჩანს ბევრი ფული შემოვიდოდა, მაგრამ დღემდე არ ვიცით სწორი ანგარიში! მხოლოდ ის-კი ვიცით, რომ თითონ კასსირმა ბ-ნ ვლ. ანანიევმა წარმოდგენის დასრულებისათანავე საზოგადოების წინ აღიარა: „კასსაში მე ოთხ თუმან ნახევრის ბილეთები გავჰყიდეო“. ეს ძალიან კარგი.

ახლა რაკი ეს გავიგეთ, იმედია, იმასაც გაგვაგებინებს ბ-ნი გამგე ი. კვალიევი, რამდენი ბილეთი გაჰყიდა თითონ და რამდენი დაგზავნა მეგობრებში გასასყიდად.

სტეფანე ნოზაძე.

## რუსეთი

ფრანგულ გაზ. „Siecle“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა: „პეტერბურგი. 11 ივნისი. დღევანდელ დიდებულ დღეს, რომელსაც ჩვენის დიდებულ თავისუფალ მოაზრე პოეტის პუშკინის ხსენებას ვწირავთ, ჩვენ, რუსეთის მწერალნი და აზრის მუშაკნი, რომელნიც თანაგრძნობით ვადევნებდით თვალ ყურს თქვენ ბუბერაზულ ბრძოლას უსამართლობის ყველა შეერთებულ ძალასთან, ვულოცავთ ემილ ზოლას მართლ-მსაჯულების გამარჯვებას, რომელიც მას სამარადისოთ გაუთქვამს სახელს. რედაქტორები ჟურნალ გაზეთებისა: „Русское Богатство“, „Начало“, „Жизнь“, „Научное Обозрѣніе,“? (გაურკვევლად სწერია) „Міръ Божій“, „Сынъ Отечества“ და „Журналъ для всѣхъ.“

— გზათა სამინისტრომ დროებით დაამტკიცა წესები მკურნალთა-მიერ რკინის გზის მუშათა დროგამოშვებით გასინჯვის შესახებ.

— რადგან რკინის გზების მშენებელმა მუშებმა არა-ერთხელ იჩივლეს, მოიჯარადრენი ჩვენს ხელფასს ქირას გვიჭერენო, ამის გამო გზათა მინისტრმა წინადადება მისცა თავის ხელ ქვეით მყოფ დაწესებულებათ, დაუყოვნებლივ მიიღეთ სასტიკი ზომები მუშათა უზრუნველ საყოფელად ქირის მიღების მხრივაო, გარდა ამისა, მოიჯარადრეებთან ანგარიშის გაწმენდის დროს სახეში მიიღეთ, დააკმაყოფილეს თუ არა მათ ჯეროვნად რკინის გზების ასაშენებლად დაქირავებული მუშებიო.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისში ამ უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი იყო ოპოზიციის საქციელი ტრანსვაალის საქმის შესახებ. უმწვერვალეს მმართველთ კამათის ატეხა უნდოდათ ხსენებულ საგნის გამო პარლამენტში, მაგრამ ამ დასის ხელმძღვანელები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. „Daily News“-ი, ლიბერალთა უმთავრესი გაზეთი, ამართლებდა ოპოზიციას, რომ უხერხულის საქციელით მეტს ძალას შეჰმატებთ კრიუგერსო. ამასთანავე გაზეთი ამტკიცებდა, რომ ინგლისის ლიბერალური დასი მუდამ მომხრე იყო დაჩაგრულთა და ამომრჩეველობის უფლების არა მქონეთა და ამიტომ მას საფუძველი არა აქვს, — თავისს პოლიტიკურს მცნებას უღალატოს ამ შემთხვევაში, როცა ინგლისელები იჩაგრებიან ტრანსვაალშიო. ამ გვარმა შეხედულობამ რადიკალებშიაც მოიგდა ფეხი. ლიბერალების მეორე გაზეთი „Spectator“-ი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისმა განაცხადა, რომ ტრანსვაალში მცხოვრებ ინგლისელებს მხარს დაუჭერო, ტრანსვაალს რამდენიმე დრო უნდა მიეცეს ცვლილებათა შემოსაღებად და თუ ეს არ შეასრულა და ამის გამო არეულობა ასტყდა, მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს გულმოდგინეთო.

—

**ავსტრია.** 6 ივნისს ავსტრიაში 56 ალაგას მოხდა მუშათა კრება, რომელსაც სულ 15,000 კაცამდე დაესწრო. კრებებზედ დადგენილ იქმნა, წინააღმდეგობა გაუწიოთო ღიუგერის მიერ შედგენილ არჩევნების შესახებ ახალ წეს-რიგის პროექტის განხორციელებასო. ეს პროექტი თუ განხორციელდა, მუშები თითქმის სულ ერთიან ჰკარგავენ ამომრჩევლობის უფლებას ქალაქებში. კრებებმა გარდასწყვიტეს შეამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რომ არ დაამტკიცოს ხსენებული პროექტი; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რაიმე უწესოება მოხდა, ჩვენ აღარ გიქნებით პასუხის მგებელნიო, — ამბობენ მუშები თავიანთ რეზოლიუციებში. უველა ორატორი სასტიკად ჰკიცხავდა ღიუგერს, რომელსაც 4 ივნისს თავისს სიტყვაში სოციალ-დემოკრატებისთვის ბაცშვები უწოდებია. ორს ადგილას, მომეტებულ სიმკაცრისათვის ბურგომისტრის წინააღმდეგ, კრება განიზრახა პროტესტი.

—

**ესპანია.** არკაშონს, დასავლეთ საფრანგეთში, საფრანგეთის მთავრობამ ამ დღეებში 4000 თოფი იპოვნა ერთს ინგლისურს გემზედ და კიდევაც ჩამოართვა. გემი პირდაპირ ინგლისიდგან მოდიოდა და თოფები დონ კარლოსის მომხრეებისათვის მიჰქონდა. იმათი გამგზავნი ერთი ინგლისელი ყოფილა, დონ-კარლოსის წარმომადგენელი ინგლისში.

ამ ამბის გამო ერთს კარლისტს უთქვამს, რომ მართალია ეს 4000 თოფი დაიჭირესო, მაგრამ იმას წინად 8000 თოფი იყო გაგზავნილი ესპანიაში კარლისტებისათვის და ისინი ეხლა თავისს ადგილას არისო.

### სასამართლოს მატიანე

თავ. შიხი ტუსიშვილისა და სხვ. საქმე

12 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილებაში გაირჩა თ. შიხი ტუსიშვილისა, თ. გლახ. ბარათაშვილისა, აზნ. გიორგი ოსიტაშვილისა და ობერ-ოფიცრის შვილის ალექსანდრე ტერ-შმოკანოვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებოდათ აზნ. დავით გაბაშვილის მოკვლა 1898 წ. 3 ოქტომბერს, ჯვართან, გზაზედ. თავმჯდომარეობდა სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენატორი ს. ბ. ვრასკი, წევრებად იყვნენ პალატის წევრნი ა. მ. ფრანცოვი და ტ. ტ. გლუშანოვსკი. ბრალსა სდებდა პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ე. ფ. ხლოდოვსკი. ბრალდებულთ იცავდა: თავ. ტუსიშვილს — ნაფ. ვექილი ჩემესოვი, თავ. ბარათაშვილს — პეტერბურგის ოლქის ნაფიცი ვექილი ანდრეევსკი, ოსიტაშვილს — ნაფ. ვექ. იპოლიტოვი და ტერ-შმოკანოვს — ნაფიც ვექილის თანაშემწე გრუზენბერგი. ბრალდებულნი თავ. ტუსიშვილი, თავ. ბარათაშვილი და ოსიტაშვილი დატუსაღებულნი არიან და სხდომის დარბაზში იმყოფებოდნენ. ხოლო ბრალდებული ტერ-შმოკანოვი, რომელიც თავდებობით იყო განთავისუფლებული, არ დაესწრო საქმის გარჩევას. სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

ტფილისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე 22—23 თებერვალს განიხილა, დამნაშავეებად სცნო თავ. შიხი ტუსიშვილი, თავ. გლახ. ბარათაშვილი და აზნ. გ. ოსიტაშვილი დავ. გაბაშვილის მოკვლაში გამწვავებისა და განჩხრების დროს, ხოლო ალ. ტერ-შმოკანოვი — დამნაშავედ ამ დანაშაულის დაფარვაში, და მიუსაჯა: პირველ სამ ბრალდებულს ყველა უფლება-ღირსების ჩამორთმევა და 4 წლით კატორღა, ხოლო უკანასკნელს — ტერ-შმოკანოვს — უფლება-ღირსების აუყრელად 6 თვით დაპატიმრება.

ამ განაჩენის გამო ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა მოსჩივრა და ბრალდებულებმა განასაჩივრეს ეს საქმე სამოსამართლო პალატაში.

საქმის მოსმენა პალატაში გათავდა შუადღის 1 საათსა 30 წუთზედ, რის შემდეგ დაიწყო კამათი.

ბრალმდებლის ამხანაგმა ხლოდოვსკიმ ითხოვა: დამნაშავეებად იქმნენ ცნობილნი ყველა ბრალდებულნი, მათ შორის ტერ-შმოკანოვიც გამწვავების დროს გაბაშვილის განზრახ მოკვლაშიო, ყველა მათ ყველა უფლება-ღირსება და გაგზავნილ იქმნენ კატორღაში 8 წლითაო.

ყველა ბრალდებულთა დამცველებმა ითხოვეს მათი გამართლება. სათათბირის თათბირის შემდეგ სამოსამართლო პალატამ ნაშუადღევის 4 საათსა და 20 წუთზე წაიკითხა შემდეგი განაჩენი: ბრალდებული ალ. ტერ შმოკანოვი ცნობილ იქმნას დამნაშავედ აზნ. გაბაშვილის განზრახ, ალეკვების დროს, მოკვლაში, აეყაროს ყველა უფლება-ღირსება და გაიგზავნოს კატორღაში 4 წლით; ოლქის სასამართლოს განაჩენი მის შესახებ გაუქმებულ იქმნასო. ხოლო სასამართლოს განაჩენი შ. ტუსიშვილისა, გლ. ბარათაშვილისა და გ. ოსიტაშვილის შესახებ დამტკიცებულ იქმნას.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სამოსამართლო პალატამ დაადგინა: ბრალდებული ალექსანდრე ტერ-შმოკანოვი დატუსაღებულ იქმნასო *).

### დამაკვირდი

გონიერო! დღესა უოველსა მოკლე მამული შენი და მანგლითა აღჰჴერ ჭირნნი და მხმარნი რტონი სანერგეთა შენთანი.

ლასურიძე

* * *

გონება უქმად ვერ დგას.

წმ. ეფრემ (XI)

* * *

დიდ-გონიერისა კაცისა მიერ არა ჯერ არს აღთქმა უწინარეს მიცემისა.

ალექსანდრე მაკედონელი

### თავ. ვ. გ. მაჩაბლის პასუხად

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-108 №-ში წავიკითხე თავ. ვასილ გიორგის ძის მაჩაბლის „წერილი რედაქციის მიმართ“ და საშინლად გამაკვირვა ავტორის გაცხარებამ და იმის უარის ყოფამ, რაც მოხდა გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის ქ. გორში მომხდარ წლიურ კრებაზედ 28 მარტს. თავ. მაჩაბელი მაკიყინებს, რომ ჩემი კორესპონდენცია მოკლებულია უოველსავე სინამდვილეს და, მაშასადამე, რასაც მე ვწერდი, უოველივე ჩემი მოგონილია. ეს რომ უბრალო ცილის წამება არის, ამას ყველა იმ კრებაზედ დამსწრე დაამტკიცებს და თვით მაჩაბელიც არ უარ-ჰყოფს, რომ უოველივე ჩემ წერილში აღნიშნულ გარემოებას ჰქონდა ადგილი სწორედ 28 მარტს მომხდარ კრებაზედ. კრების უკანონობა მე არ მითქვამს; მე მხოლოდ ის გარემოება აღვნიშნე, რომ კრებას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო, როგორც წევრთაგანნი, ისე გარეშენიც და ესე ცოტა ხალხის დასწრება კრებაზედ მივაწერე „ქართველურ გულგრილობას“. თ. მაჩაბელს-კი სულ სხვა მიზეზები მოჰყავს ამ მოვლენის გასამართლებლად და მე ეს მიზეზები სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია. თუმცა, მართალია, რომ 155 წევრში მხოლოდ 84 აქვს შეტანილი სრული საწევრო ფული და დანარჩენ 71 კი მარტო ნაწილი, მაგრამ ეს გარემოება არ გვეუბნება, რომ ამ 71 კაცს უფლება არა ჰქონდეთ კრებას დაესწრნენ. კრების დასწრების უფლება გარეშეთაცა აქვთ და კიდეც დაესწრნენ, ვისაც რამე ინტერესი ჰქონდა ამ საზოგადო დაწესებულებისა. წარსულ წლებში უფრო ცოტა ჰყავდა სრული წევრი ამხანაგობას, მაგრამ კრებებზედ ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი ხალხი ესწრებოდა, ვიდრე წელს დაესწრო. ვიმეორებ კიდევ, რომ კრებაზედ ცოტა ხალხის დასწრების მიზეზი „გულ-გრილობა“ არის და არა სხვა რამე. სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია თავ. მაჩაბლის აზრი იმის შესახებ, რომ „სამწუხაროდ, მხოლოდ არჩევნებში ჯამაგირიან ადგილებისათვის იკრიბება უფრო ბევრი ხალხი“. განა მარტო გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის შესახებ გამოიჩინა ჩვენმა საზოგადოებამ გულგრილობა? არა. ეს გულგრილობა უოველ ჩვენ საზოგადო საქმეს აფერხებს და მეც იმიტომ დავუმატე სიტყვა „ქართველური“. ერთის სიტყვით, კრებას რომ ცოტა ხალხი დაესწრო ეს ნამდვილია და ამას თვით მაჩაბელიც ჰზრძანებს.

შემდეგ თავ. მაჩაბელი, როგორც ამხანაგობის გამგე-დირექტორი ამართლებს ამხანაგობის გამგეობას და გვიმტკიცებს, რომ გამგეობას არ შეეძლო ის ფასი ეძლია ჭირნახულში, რა ფასსაც კერძო ვაჭრები აძლევდნენ და ამიტომ დასწია ჭირნახულის მაზანდაო. ამის მიზეზად იმას ასახელებს თავ. მაჩაბელი, რომ კერძო ვაჭრებმა განგებ ასწიეს ჭირნახულის მაზანდა, რომ მირი გამოუთხარათ ამხანაგობისათვის. მაგრამ არა მგონია, რომ ეს ასე უოფილიყოს, რადგანაც ჭირნახულის ფასი გორის მაზრაში იმ ჟამად ყველგან ისეთი იყო, როგორც კერძო ვაჭრები აძლევდნენ გორში. ასე იყო თუ ისე, ის-კი ნამდვილია, რომ ზოგი მსხვილი მემამულე იძულებული გამხდარა კერძოდ გაეყიდნა თავისი ჭირნახული და ამის მიზეზად ის წარმოადგინეს კრებაზედ, რომ ამხანაგობა ძლიერ ნაკლებ ფასს იძლეოდა ჭირნახულშიო. ამ მემამულეთა შორის ერია თვით ამხანაგობის ზედამხედველ კომიტეტის წევრი თ. კ. მ. ამირაჯიბი, ის ამირაჯიბი, რომელსაც, რამდენადაც მე ვიცი, სხვაზედ ნაკლებ არ შესტკივა გული ამხანაგობისათვის. ეს ამბავი რომ ჩემი მოგონილი არ არის, ამას თვით მაჩაბელიც დაამოწმებს და კიდეც ამოწმებს თავის წერილის შემდეგის სიტყვებით: „სამწუხაროდ აღმოჩნდნენ ზოგიერთნი მემამულესი, რომელთაც რამდენიმე კაპეიკი არჩიეს გარეშე ვაჭრებისა და დაუწყეს მიყიდვა“. მაშ, ხეტა ვიცოდეთ, რად ისურვა თავ. მაჩაბელმა იმისი ბრძანება, რომ ჩემი კორრესპონდენცია „მოკლებულია უოველსავე სინამდვილეს“?

თავ. მაჩაბლის სიტყვით, ისიც „ლიტონი ტყუილია“, რომ ხობლის ფირმის წარმომადგენელს კ. ამირაჯიბისათვის უთხოვნია წერილით 60,000 ფუთი ქერი 96 კაპ. ფუთი! მე კი ვწერდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ეს ამბავი კრებაზედ იყო აღნიშნული და კ. ამირაჯიბმა გამოიწვია ამის შესახებ ლაპარაკი. შეიძლება ეს ტყუილი იყოს; შეიძლება კ. ამირაჯიბმა მოიგონა ეს? უოველივე ამას გამოძიება ამხანაგობის ჭკოვკალელობას შეადგენდა და კიდეც უნდა გამოეძია და შეეტყო მართალია ეს თუ არა! მე პირადად თუმცა არ ვიცნობ თავ. კ. ამირაჯიბს, მაგრამ რამდენადაც გამიგია და თვალ უური მიდევნებია ამხანაგობისათვის, ვიცი, რომ კ. ამირაჯიბი ამ ამხანაგობის საქმეებს დაწყებიდგანვე სათავეში უდგია და, მაშასადამე, კეთი-

---

*) როგორც ქალაქში ხმა დადის, ტერ-შმოვანოვი სადღაც გაქცეულა ქალაქიდგან.

ლიც ჭკუურს იმისთვის. კიდევ ვიმეორებ, რომ ის წევრის ზედამხედველ კომიტეტისა და უსაბუთოდ არ დასწამებდა ასეთს ცილს გამგეობას.

შეიძლება იმიტომ მაჩნდეს თავ. მაჩაბელს თ. გ. ამირაჯიბის მოხსენება „ლიტონ ტყუილად“, რომ გ. ამირაჯიბი ამხანაგობის ეხლანდელის წესწყობილების წინააღმდეგია? შეიძლება იმიტომ იყოს ტყუილი ამირაჯიბის მოხსენება, რომ მან, გ. ამირაჯიბმა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებაც, რომ ამხანაგობის გამგე დირექტორი იშვიათად არის ხოლმე იქ, სადაც უმთავრესი მოქმედება აქვს ამხანაგობას, ესე იგი, გორში? ჩემის აზრით, თავ. გ. ამირაჯიბი გულდაგულ იყო ლაპარაკის ყოველისავე ამის შესახებ საქმის წარსამართებლად, და კრებამაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას. კრებამ, მაგალითად დაადგინა, რომ გამგე დირექტორი თვეში ათი დღე უთუოდ გორში უნდა იმყოფებოდეს.

ყოველისავე ამის გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში თავ. მაჩაბელს ამხანაგობის ძირის გამოთხრად და დაღუპვად მიაჩნია, მაგრამ აქაც ვერ ვეთანხმებით მას და გაბედვით მოვახსენებთ, რომ ამხანაგობას დაჰღუპავს და ძირს გამოუთხრის არა ჟურნალ-გაზეთებში მისის ავ-კარგის გამოქვეყნება, არამედ დაფარვა ყოველის მისის მოქმედებისა, მეგობრობითა და ნაცნობობით განაწილება ამხანაგობაში მოსამსახურეების ადგილებისა. ეს თვით მაჩაბელმაც ჩემზედ კარგად იცის და მიკვირს, რომ გვისაყვედურებს ამხანაგობის ამბების გამოქვეყნებას. მოიგონოს თავ. მაჩაბელმა ის დრო, როდესაც იგი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ოპოზიციის სათავეში იდგა და მაშინ აღარ გვიკიჟინებს, რად გამოაქვეყნეთ საზოგადოების წინაშე ჩვენის ამხანაგობის ცუდიო. სრულიად უსაფუძვლოდ გვწამებს თავ. მაჩაბელი გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის მტრობას. შეიძლება მე თვით თავ. მაჩაბელზედ ნაკლებ არ მეხატრონდე იმ დროს, როდესაც ამხანაგობა ისე გამაგრდება, რომ ტუაგის მრობისაგან დაიხსნის გორის მაზრის უიმისოდაც დაქვეითებულს მიწად-მფლობელს და მეტად მომქმედსაც. მე მხოლოდ იმას ვისურვებ, რომ ამხანაგობის საქმეები უფრო კარგად წავიდეს და გაუმართლოს მან საზოგადოებას მოლოდინი. ნაკლულევანებათა ჩვენება არ დაჰღუპავს ამხანაგობას, თუ ეცდებიან მისი მეთაურები მომავალში თავიდგან აიცილონ ის ნაკლულევანებანი, რომელთაც ზარალი მოუტანეს ამხანაგობას.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემი კორესპონდენცია დაგვიანებული იყო, ამის შესახებ იმას მოვახსენებ თავ. მაჩაბელს, რომ გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის კრება მოხდა 28 მარტს და წერილი გავგზავნე რედაქციაში 4-ს თუ 5 აპრილს, მაგრამ, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზით, რედაქციამ დააგვიანა მისი დაბეჭდვა.

დარწმუნებული ვარ, რომ ვინც დაესწრო 28 მარტს მომხდარ კრებაზედ, ყველა დაამტკიცებს იმას, რასაც მე ვწერდი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა კიდევ „ქართველურ გულგრილობის“ შესახებ. იმავე ამხანაგობას ჰქონდა დანიშნული პირველი კრება სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ეს კრება არ მოხდა, რადგანაც არავინ არ გამოცხადდა. კრება იყო დანიშნული ქ. გორში 23 აპრილისათვის და ჯერაც არ მომხდარა. რით აიხსნება ეს მოვლენა, თუ არა „გულგრილობით“? იქნება არც ეს უნდა გამომექვეყნებინა?..

ს. რ.

# დეპეშა

12 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სასოფლო მეურნეობის ადგილობრივ დაწესებულებათა შესახებ:

I. რათა ადგილობრივ მზრუნველობა იქონიონ სასოფლო მეურნეობაზედ და გააერთიანონ ყველა ზომები მიწად მოქმედებისა და სასოფლო მრეწველობის შესახებ, დაარსებულ იქმნას სასოფლო მეურნეობის რწმუნებულთა თანამდებობანი.

II. რათა პირდაპირ ტეხნიკური ზეგავლენა იქონიონ სასოფლო მეურნეობის გაძლიერებაზედ, დაარსებულ იქმნას სასოფლო მეურნეობის ზედმიწევნით მცოდნეთა თანამდებობანი.

III. ხარჯის დასაფარავად, რაიცა რწმუნებულთა შენახვას მოუნდება 20 გუბერნიაში, სადაც მოქმედობს საგუბერნიო და სამაზრო დებულება ერობათა დაწესებულების შესახებ, გადიდვას ყოველ წელს სახელმწიფო ხაზინიდგან 1900 წლის 1-ლ თებერვლიდგან 105,000 მანეთი. 1899 წელს მიეცეს მიწად მოქმედების მინისტრს 50,000 მანეთი იმდენ რწმუნებულთა შესანახად, რამდენსაც ეს ფული ეყოფა ჯამაგირად.

**პარიჟი.** კაბინეტში გენერალ გალიფეს შესვლის გამო სოციალისტთა წრეში განხეთქილება მოხდა. ამ წრის 15 კაცმა ახალი დასი შეადგინა.

**მადრიდი.** გუშინ გრენადის პროვინციის ორ ქალაქში მანიფესტაცია მოხდა შაქარზე ბაჟის დადების წინააღმდეგ. წესიერება დადგენილ იქმნა.

**პარიჟი.** ახალი მინისტრები დღეს პირველად შეიკრიბნენ ელისეს სასახლეში ლუბეს თავმჯდომარეობით ჻ შეიმუშავეს სამინისტრო დეკლარაციის საზოგადო მუხლები, რომელიც ორშაბათს უნდა აუწყონ პალატას. დეკლარაციაში მოხსენებული იქნება, რომ კაბინეტი შესდგა მომეტებულ ნაწილად იმ განზრახვით, რომ დაიცვას რესპუბლიკის დაწესებულებანიო. ვალდეკ-რუსსომ აუწყა კრებას, რომ საღამოიდგან პრეფექტებს ცირკულიარებს დავურიგებ, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ იმათ სრული მიუდგომლობა უნდა გამოიჩინონ პოლიტიკურს საგნებშიო. გალიფემ აცნობა კრებას, გენერლებს ცირკულიარს დავურიგებ, რომლითაც წინადადებას მივსცემ მათ—მოაგონონ ყველა სამხედრო მოხელეთ, რომ დისციპლინა უთუოდ დაიცვანო. გალიფეს წინადადებით, საბჭომ გადასწყვიტა გადაყვანილ-გადმოყვანილ იქმნან ზოგიერთი მაღალის თანამდებობის აფიცრები, რომელთაც დისციპლინა დაარღვიეს. დეკრეტი ლეპინის დანიშვნის შესახებ პოლიციის პრეფექტად, ბლანის მაგიერ, რომელიც ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრად, რესპუბლიკის პრეზიდენტს წარედგინა ხელმოსაწერად.

12 ივნისი

**რომი.** „სტეფანის სააგენტომ“ გამოაცხადა დღეს მეფის გუშინდელის ბრძანების შინაარსი და აგრეთვე მის საპოლიტიკო ღონისძიებათა შესახებ მოხსენება: 1) კრებათა, 2) საზოგადო კავშირთა, 3) რკინის გზისა, ფოსტისა და განათლების მოსამსახურეთა მიერ მუშაობის ალკვეთისა და 4) დასტამბულ სიტყვისა. ბრძანება ძალაში უნდა შევიდეს 20 ივლისიდგან და პარლამენტში იქმნება შეტანილი, რათა მოიპოვოს ძალა კანონისა.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენციის პირველი კომისსია შეიკრიბა დღეს და განიხილა მოხსენება ავსტრიის წარმომადგენელის სალტიკისა. კომისიამ ვერ შეიძლო შეთანხმება წყლის ქვეშეთის ნღმიან გემების და სხ. საომრების შესახებ. შემდეგ კომისია შეუდგა გრაფ მურავიოვის საყოველთაო მოწერილობის პირველ პუნქტის განხილვას, რომელიც შეეხება იმას, რომ აწინდელი რიცხვი ხმელეთისა და ზღვის ჯარის არ იქმნას მომატებული განსაზღვრულ ვადის განმავლობაში. ამ საგნის შესახებ წარდგენილია წინადადებანი რუსეთის წარმომადგენელების, პოლკოვნიკის ჟილინსკისა და კაპიტანის შეინისა. კომისია დაიშალა ორშაბათამდე.

**ჰააგა.** რუსეთის წინადადებანი, წარდგენილნი კონფერენციის პირველს კომისიაში, იმად არ იყო მიმართული, რომ აწინდელი რიცხვი სამხედრო ძალისა და აგრეთვე მის შესახები სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა არ იყოს გაძლიერებული ხუთის წლის განმავლობაში; ამ განსაზღვრას არ ექვემდებარება სახალშენო ჯარი. მესამე კომისიის სარედაქციო კომისიამ, რომელიც ჰსინჯავს სამედიატორო სასამართლოს შემოღების საგანს, დღევანდელს კრებაზედ განიხილა 1—7 მუხლი რუსეთის სამედიატორო სასამართლოს შესახების წინადადებისა. მთელი წინადადება 26 მუხლისაგან შესდგება. ოთხშაბათს უეჭველია კონფერენცია დაიშლება მცირე ხნით, რათა წარმომადგენელთ ვადა მიეცეთ თავიანთ მთავრობათ მოახსენონ საქმეთა მიმდინარეობის ამბავი.

**პარიჟი.** ვალდეკ-რუსსოს საყოველთაო მიწერილობაში პრეფექტთა მიმართ ნათქვამია, რომ სამინისტრომ იკისრა საქმე რესპუბლიკის დაცვისა და ამიტომ დამავალებთ აცნობოთ მას ყოველის საქციელის ამბავი, რომელიც-კი შეეხება დაწესებულებათა და საზოგადო წესიერების პატივის-ცემას ჻ აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, ჯეროვანი ღონისძიებანიც იღონოთო.

**ჰააგა.** საქმეთა ვითარება სამედიატორო სასამართლოს შესახებ განკარგდა. წარმომადგენელთა შორის დიდი იმედი სჩანს, რადგან ეს არის ეხლა მიღებული ცნობანი ბერლინიდგან მორიგების იმედს იძლევა.

**პარიჟი.** გენერალმა გალლიფემ მიჰმართა ჯარის უფროსებს საყოველთაო მიწერილობით, რომელშიაც აცხადებს: „ჩემდა დიდად სამწუხაროდ იძულებულ ვიქმენ უარმეყო განმარტოებული ცხოვრება, რათა მეკისრა ქვეყნისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაშე პასუხის-მგებლობა ჯარისა. ამითი დიდად თავმოწონებული ვარ და სრულიადაც არა ვარ შეშფოთებული. გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ თუ მე ვარ პასუხის-მგებელი, თქვენცა ხართ პასუხის მგებელი ჩემს წინაშე ყოველისავე იმისა, რაც თქვენს საუფროსო ჯარში მოხდება. აი ამიტომაც მე თქვენი იმედი მაქვს, როგორც თქვენც შეგიძლიანთ ჩემი იმედი გქონდეთ.

13 ივნისი

**ბუქარესტი.** საგანგებო სესსია პარლამენტისა დაიწყო. მეფე მობრძანდა მემკვიდრე პრინციტურთ. მეფის მოწერილობაში ნათქვამია, რომ საგანგებო სეესსია მოწოდებულია მხოლოდ ყოვლად საჭირო პროექტების გარდასაწყვეტადაო. შემდეგ ნათქვამია, რომ ყველა დიდ სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო და საქმე მშვიდობიანობისა მუდმივს საზრუნველს შეადგენს ყველასათვისაო. მეფეს იმედი აქვს, რომ სამშვიდობო კონფერენცია უფრო მეტად უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობასაო. მოწერილობა თანაგრძნობით იქმნა მიღებული.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის სამხედრო წარმომადგენლად ნამყოფს პოლკოვნიკს პეშკოვს ებოძა მეჯიდიეს ორდენი პირველის ხარისხისა.

სერბიის ნოტის პასუხად, რომელიც საზღვარზედ მომხდარს ამბავს შეეხებოდა, პორტამ ნოტითვე გასცა პასუხი, რომელშიაც ნათქვამია: ნარევმა კომისიამ შეამოწმა, რომ შეტაკება სერბიელებმა გამოიწვიესო. არც ნიზამთა და არც ალბანელებს საზღვარი არ გადაულახავთ. ნოტა შენიშნავს, რომ სერბიელთა ყველა მოთხოვნილება გასინჯულ იქმნა და საფუძვლიანს სამდურავს ყურადღება მიექცა. საჩივართა უმეტესობა უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლოვეა საყვედური კოსსოვის მოხელეთა მიმართ: სერბიას არასოდეს არ გაუწევია დახმარება სასაზღვრო დარაჯთათვის, მან მხოლოდ შეასრულა ნარევ კომისიის დადგენილება უბაჟო საქონლის შესახებაო.

14 ივნისი

**პარიჟი.** გალლიფემ უთხრა გაზ. „ჟურნალ“-ის წარმომადგენელს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ გენერლებ ცურლინდენისა, ბუადეფრისა, გონზისა და პელიეს წინააღმდეგ ღონისძიებანი იქმნება ხმარებულიო. გარტშმიდტი, როჟე და საქსე გადაყვანილ იქმნებიან სხვა ადგილებზედ სამხედრო წესის დარღვევისათვისაო.

მთავარ ბრალმდებელი ბერტრანი და რესპუბლიკის ბრალმდებელი ფელიოლე დანიშნულნი არიან სხვა თანამდებობაზედ. გენერალი გარტშმიდტი გადაყვანილ იქმნა რეიმსში, პოლკოვნიკი საქსე—პუატიეში. გამოძიებაა დაწყებული პოდპოლკოვნიკის კუბერტენის წინააღმდეგ.

**პეტერბურგი.** დღეს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული განთავისუფლდა ფეხმძიმეობისაგან და მიეცა ქალიშვილი, რომელსაც მარია ეწოდა სახელად.

# გასწორება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოქმედების 1898 წლის დაბეჭდილის ანგარიშის შეცდომებისა.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოქმედების 1898 წლის დაბეჭდილს ანგარიშში მოიპოვება რამდენიმე შეცდომა, რომელთაგან მომეტებული არიან კორექტურულნი, ხოლო ზოგიერთნი არიან მომხდარნი გადამწერის ბრალით. ეს შეცდომები უნდა გასწორებულ იქმნან ასე:

1, გვ. 9, კავკავის სკოლა დაარსებულია არა 1880 წ., არამედ 1888 წ.

2, გვ. 12, ამავე სკოლის მასწავლებელს ა. ხახიშვილს მიეცა შემწეობად არა 50 მ., არამედ 30 მ.

3, — იქვე, ამავე სკოლის სხვა და სხვა ხარჯი იყო არა 133 მ. 32 კ., არამედ 141 მ. 02 კ.

4, — იქვე, ამავე სკოლის სადგომის გაფართოებაზე და ეკკლესიის აშენებაზე დახარჯა არა 8516 მ. 36 კ., არამედ 8516 მ. 39 კ.

5, — იქვე, ამავე სკოლის ხარჯიდამ გამგეობას აქვს გასტუმრებული არა 251 მ., არამედ 251 მ. 38 კ., ხოლო სკოლის კომიტეტს არა 10123 მ. 39 კ. არამედ 10123 მ. 29 კ.

6, გვ. 15, ბათუმის სკოლის მესამე განყოფილებაში 1898 წლის ბოლოს იყო არა 10 მოწაფე, არამედ 28.

7, — იქვე, ამ სკოლაში დაჰკლებიან გაკვეთილს მშობელთა უყურადღებობით არა 1940 ჯერა, არამედ 1949 ჯერ.

8, გვ. 18 ამავე სკოლის წლიური ხარჯი იყო არა 20814 მ. 44 კ., არამედ 20864 მ. 44 კ.

9, გვ. 23, წინარეხის სკოლაში სწავლა შესწყდა მაისის 20-ს (ანგარიშში თვე არ არის მოხსენებული).

10, გვ. 24, უნდა იყვეს დაბეჭდილი არა ნ. ცხვედაძის თანხმობით, არამედ ნ. ცხვედაძის თაოსნობით.

11, გვ. 27, ხელთუბნის სკოლაში და[illegible]ლდა ეგზამენებამდე არა 9 მოწაფე, არამედ 7.

12 გვ. 44 სოხუმის ბიბლიოთეკას გაეგზავნა 30 მ. არა წიგნებად, არამედ ფულად.

13, იქვე, გაეგზავნა არა ან. წერეთლი[illegible] ქალაში დასარიგებლად წიგნები 60 მ., არამედ კნ. ანასტასია ვარდენის ასულს წერეთლისას სოხუმში სტუდენტის ქუთათელაძისთვის ფულად 60 მ. (თანახმად შემომწირველის სურვილისა).

14, იქვე, გაეგზავნა სტუდენტს ჩხენკელს (თანახმად შემომწირველის სურვილისა) არა 50 მ., არამედ 55 მ.

15, იქვე, დახმარებაზედ დახარჯულია ფულად არა 200 მ., არამედ 295 მ. და წიგნებად არა 590 მ. 37 კ, არამედ 495 მ. 37 კ.

16, გვ. 48, კრილოვის არაკების გამოცემის ხარჯში შედის ქაღალდის ფასი არა 37 მ. 23 კ., არამედ 37 მ. 22 კ.

17, გვ. 54. მუზეუმის თანხას 1898 წელს მიემატა სულ არა 830 მ. 60 კ., არამედ 838 მ. 57 კ.

# შემოწირულება

მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის სასარგებლოდ მივიღეთ ქ. ოზურგეთიდგან ბ-ნ ტ. ქ—საგან 39 მან. ეს ფული შემოსწირეს:

ტ. ქ. 10 მან., ს. ვაშაყმაძე 1 მ., მამ—ძე 1 მ., კ. ბერეჟიანი 1 მ., ვასილ ურუშაძე 1 მ., გიორგი თოხაძე 1 მ., სიმონ ღლონტი 1 მ., გ. კეჟერაძე 3 მ., ხარბალაძე 1 მ., დავით აბაშიძე 1 მ., გრიგოლ დონაძე 1 მ., მელიტონ ქავთარაძე 1 მ., აქსენტი მეგრელიძე 1 მ., შ. 1 მ., ბესარიონ კალანდაძე 1 მ., სამსონ ჯაყელი 1 მ.. ივლიანე ჯაყელი 1 მ., დემენტი შავიშვილი 1 მ., მ. სვანიძე 1 მ., Григорій Павловъ 1 рубль, მ. თუმანიშვილი 3 მ., Б. *) 1 рубль, გიორგი ქლენტი 1 მ., სოლომონ ქეიშვილი 2 მ., № 2 მ., № 1 მ.

*) გვარი გაურკვევლადაა.